



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ბრძანება

№01/37-ო

ქ.თბილისი

01 ნოემბერი 2013 წელი

შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის №01/16-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹ მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 25 ნოემბრის N837 და 2012 წლის 29 მაისის N669 განკარგულებებში, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 01 აგვისტოს #01/9-ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის #01/16-ო ბრძანებით განსაზღვრული იძულებითი ადმინისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2013 წლის 01 ნოემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს „სადაზღვევო კომპანია „პარტნიორის“ მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.
3. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლაშა ნიკოლაძე



სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი